საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

3519-01-2-202010052107

N 01/3519
05/10/2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას

როგორც მოგეხსენებათ მიმდინარე წლის 3 ნოემბერს 13:00 საათზე, ქალაქ ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N 45-ში დაგეგმილია ქალაქ ზუგდიდის გენერალურ გეგმაზე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. ვინაიდან საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისა და კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, 2020 წლის 18 სექტემბერს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში" განხორციელდა ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პანდემიის/ეპიდემიის დროს, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით, საჯარო განხილვის დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარების შესაძლებლობას, სტრატეგიული დოკუმენტის პროექტისა და სგშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

საჯარო განხილვის თარიღი და დრო რჩება უცვლელი, განხილვა იქნება ღია, მათში მონაწილეობის, ასევე შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს.

საჯარო განხილვაზე დასწრების ბმული: https://meet.mrdi.gov.ge/sajarogankhilva

ნინო გვენცაძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

სივრცითი დაგეგმარების დეპარტამენტი

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722
12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722